საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№01-04/42 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 30.06 2022 წ.

MES 6 22 0000733491

30/06/2022

სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული განათლების საბჭოს ფორმირების, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის დებულების მუხლი 8-ის შესაბამისად, ვბრძანებ:

დამტკიცდეს "სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული განათლების საბჭოს ფორმირების, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესი". - დანართი 1

საფუძველი: პროფესიული განათლების ცენტრის დებულება (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 18.05.2022 წლის №94 დადგენილება).

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი როლანდ კოპალიანი

პროფესიული განათლების ცენტრის
ხელმძღვანელი სერგო სვანაძე

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული განათლების საბჭოს ფორმირების, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის (შემდგომში, ტექსტის მიხედვით - ცენტრი) პროფესიული განათლების საბჭოს (შემდგომში, ტექსტის მიხედვით- საბჭო) საქმიანობა ეყრდნობა საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ", ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, უნივერსიტეტის წესდებას, ცენტრის დებულებას;

1.2. პროფესიული განათლების საბჭოს ფორმირების, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესი (შემდგომში წესი) განსაზღვრავს ცენტრის სტრუქტურით გათვალისწინებული საბჭოს ფორმირების და ფუნქციონირების წესს, განსახილველი საკითხების არეალსა და უფლებამოსილების ფარგლებს;

1.3. ცენტრის ხელმძღვანელი წინამდებარე წესს შეიმუშავებს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს. საბჭოს წესის მიღება, მასში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ან მისი ბათილად, ძალდაკარგულად ცნობა ხდება რექტორის შესაბამის დოკუმენტის, ბრძანების, გამოცემით;

მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა

2.1. საბჭოს შემადგენობა განისაზღვრება 10 წევრით;

2.2. საბჭოს შემადგენლობის ფორმირების პრინციპი:

2.2.1. საბჭოს თითო წევრს წარადგენენ უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის სამსახური და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

2.2.2. საბჭოს წევრი არის ცენტრის ხელმძღვანელი;

2.2.3. საბჭოს წევრად პროფესიული განათლების პერსონალიდან 2 წლის ვადით თავისუფალი, ღია კენჭისყრით აირჩევა 3 წევრი;

2.2.4. საბჭოს 2 წევრად მოიწვევა შესაბამისი პროფილის საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან და/ან პროფესიული გაერთიანებებიდან და/ან საქმიანობის განმახორციელებელი პარტნიორი საწარმო-დაწესებულების წარმომადგენელი 2 წლის ვადით.

2.3. საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას, 2.2. პუნქტით განსაზღვრული პირების შესაბამისად, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;

2.4. საბჭოს შემადგენლობა, თავის პირველ სხდომაზე, წევრთა შემადგენლობიდან, ხმების უმრავლესობით, ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს;

2.5. საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულებას ავალებს საბჭოს ერთ-ერთ წევრს ან, მისივე გადაწყვეტილებით, ცენტრის ერთ-ერთ თანამშრომელს, მისი კომპეტენციების გათვალისწინებით;

2.6. საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე;

2.7. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი და რომლის ერთი პირი ინახება მდივანთან, ხოლო მეორე პირი გადაეცემა პროფესიული განათლების ცენტრს;

2.8. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 1/2 მაინც. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

2.9. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ, მატერიალურ, ფინანსურ და ადმინისტრაციულ უზრუნველოფას ახორციელებს ცენტრი;

2.10. საბჭოს წევრობიდან განთავისუფლების, გასვლის საფუძვლები:
- პირადი განცხადება;
- შესაბამისი სტუქტურიდან განთავისუფლება;
- დისციპლინარული გადაცდომის ჩადენა;
- სხვა პირობა, რომელიც საფუძველია საკითხის განხილვის;

2.11. საბჭოს წევრის გაყვანის, გაწვევის, განთავისუფლების შესახებ საკითხს იხილავს საბჭო, საკუთარი ინიციატივით, ან ცენტრის ან შესაბამისი უფლებამოსილი მხარის მიერ საკითხის დაყენების ან მნიშვნელოვანი ინფორმაციის საფუძველზე;

2.12. საბჭოს წევრის გამოკლების შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი მხარე, ცენტრის მიმართვის საფუძველზე, 10 დღის ვადაში, წარმოადგენს ახალ წევრს და/ან ინიშნება არჩევნები;

მუხლი 3. საბჭოს მუშაობის პრინციპები

3.1. საბჭო, ფუნქციონირების პროცესში, ეყრდნობა გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის, კანონიერების, თანასწორობის, დამოუკიდებლობის და საჯაროობის პრინციპებს;

3.2. საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებული მხარეს, განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით;

3.3. საბჭოს სხდომებზე, საჭიროების და მიზანშეწონილობის შემთხვევაში, მოიწვევა:

3.3.1. საკითხის განხილვით დაინტერესებული პირი;

3.3.2. განსახილველი საკითხის გათვალისწინებით შესაბამისი კვალიფიკაციის და უნარების მქონე სპეციალისტი, კონსულტაციის მიზნით;

3.3.3. საზოგადოებრივი და პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლები და სხვ.

3.4. საბჭოს სხდომები იმართება საკითხის შემოსვლიდან და/ან გააქტიურებიდან არაუგვიანეს 20 დღისა;

3.5. საბჭოს სხდომის შედეგების მასალა, შესაბამის უფლებამოსილ და/ან დაინტერესებულ მხარეს მიეწოდება სხდომის ჩატარებიდან 5 დღეში;

3.6. საბჭოს წევრი, განსახილველ საკითხებზე და/ან კონკრეტული საკითხზე ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, განხილვაში არ ღებულობს მონაწილეობას შესაბამისი საკითხის წინასწარ ან/და სხდომაზე დაფიქსირებით და აღნიშნული აისახება სხდომის მასალებში.

3.7. განმაპირობებელი ფაქტორებიდან გამომდინარე ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია სხდომის გამართვა, ასევე წევრის ჩართულობა და საკითხ(ებ)ის განხილვა გამოკითხვის წესით და/ან დისტაციურად.

მუხლი 4. საბჭოს თავმჯდომარე

4.1. საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს და წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე;

4.2. საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს წარუდგენს განსახილველ საკითხებს და მუშაობის რეგლამენტს;

4.3. საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მისი დავალებით, სხდომას წარმართავს კომისიის ერთ-ერთი წევრი, ან ასეთი დავალების არ არსებობისას და სხდომის ჩატარების საჭიროებიდან გამომდინარე საბჭოს შემადგენლობიდან წევრების მიერ შესაბამის კონკრეტული სხდომის თავმჯდომარედ განსაზღვრული პირი.

მუხლი 5. საბჭოს მდივანი

საბჭოს მდივნის ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობებია:

5.1. საბჭოზე განსახილველად და რეაგირებისათვის შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვა, შენახვა, საბჭოს თავმჯდომარისათვის მიწოდება-გაცნობა, რეაგირება ვიზირებ-დავალების შესაბამისად და სხდომაზე განსახილველად მომზადება;

5.2. საბჭოს სხდომების მომზადება:

5.1.1. საბჭოს თავმჯომარესთან განსახილველი საკითხების და სხდომის ჩატარების თარიღის განხილვა-შეჯერება;

5.1.2. საბჭოს წევრებზე შეტყობინებების დაგზავნა განსახილველი საკითხების და სხდომის თარიღის, ადგილისა და ფორმის მითითებით;

5.1.3. სხდომების კვალიფიციურად წარმართვა-ჩატარების პირობების მომზადება-უზრუნველყოფა, მათ შორის პროფესიული ცენტრის შესაბამისი უფლებამოსილების პერსონალის და განსახილველი საკითხების მხარეების ჩართულობით;

5.3. საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის მითითებით სხდომების დისტანციურად და/ან გამოკითხვის წესით ჩატარების და/ან მასში საბჭოს ცალკეული წევრის დისტაციურად ჩართვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერა;

5.4. საბჭოს სხდომების ოქმების წარმოება და გაფორმება;

5.5. სხდომის ოქმების და დოკუმენტაციის აღრიცხვა, შენახვა, პროფესიულ ცენტრზე მიწოდება;

5.6. საბჭოს სხდომის შედეგების მასალის უფლებამოსილ მხარეებზე დაგზავნა-მიწოდება;

მუხლი 6. საბჭოს წევრის არჩევა

6.1. საბჭოს წევრის ცენტრის პერსონალის კვოტით არჩევა ხდება ფარული, თავისუფალი კენჭისყრით;

6.2. საბჭოს წევრად არჩევის უფლება აქვს ცენტრის პერსონალს (გარდა ხელშეკრულებით, საათობრივად მოწვეულისა);

6.3. საბჭოს წევრის ასარჩევად ცენტრის ხელმძღვანელის განკარგულებით იქმნება არჩევნების საორგანიზაციო კომისია:

6.4. არჩევნების საორგანიზაციო კომისიის უფლებამოსილებანი და ვალდებულებები:

6.4.1. კომისია პირველ სხდომაზე ირჩევს ღია კენჭისყრით კომისიის თავმჯდომარეს;

6.4.2. კომისიის თავმჯდომარე წარმართავს არჩევნების პროცესს და პასუხისმგებელია ღიად, სამართლიანად და გამჭვირვალედ მის განხორციელებაზე;

6.4.3. კომისიაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით;

6.4.4. კომისია ვალდებულია გააკეთოს არჩევნებში მონაწილე პირთა სია და მათი ინფორმირება არჩევნების ჩატარების და მისი თარიღის, ადგილისა და დროის პერიოდის შესახებ. ასევე არჩევნებში მონაწილეობაზე განაცხადის დადგენილი ფორმით წარდგენის ვადებისა და ადგილის შესახებ;

6.4.5. არჩევნების ორგანიზება-ჩატარებასთან დაკავშირებული ფორმების და დოკუმენტების ნიმუშებს (განაცხადი, საარჩევნო ფურცელი, შედეგების ფორმა და ა.შ) განსაზღვრავს საარჩევნო კომისია და ამტკიცებს ცენტრის ხელმძღვანელი;

6.4.6. უზრუნველყოს საარჩევნო სივრცის მოწესრიგებას და შესაბამისობას მისი ღიად, გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩასატარებლად არჩევანის ფარულობის დაცვის გათვალისწინებით;

6.4.7. კომისიის წევრი, განსახილველ საკითხებზე და/ან კონკრეტული საკითხზე ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, განხილვაში არ ღებულობს მონაწილეობას შესაბამისი საკითხის წინასწარ ან/და სხდომაზე დაფიქსირებით და აღნიშნული აისახება სხდომის მასალებში.

6.5. საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება კენჭი იყაროს საბჭოს წევრობაზე;

6.6. ცენტრის პერსონალის კვოტით საბჭოს წევრად არჩევის განზრახვა შეუძლია დააფიქსიროს თავად კანდიდატმა ან წამოაყენოს სხვა უფლებამოსილმა (პერსონალი) წარმომადგენელმა;

6.7. საბჭოს წევრად არჩევაზე განზრახვა კანდიდატმა ან დაინტერესებულმა პირმა კანდიდატის დადასტურებული თანხმობით უნდა წარუდგინოს საარჩევნო კომისიას დადგენილი ფორმით და არაუგვიანეს დადგენილი ვადისა;

6.8. საბჭოს წევრად არჩეულად ითვლება პირი, ვინც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს არჩევნებში კვოტით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

6.9. არჩევნების შედეგებზე ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრება და გადაეცემა ცენტრს შემდგომი რეაგირებისათვის;

მუხლი 7. საბჭოს უფლებამოსილებანი

7.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის, მოკლე ციკლის პროგრამის, პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამის, ტრეინინგ კურსის,მოდულისა და ცენტრის ფარგლებში სხვა აქტივობის განხორციელებაზე შემოსული ინიცირების წინადადებებისა და მასალების განხილვა;

7.2. ინიცირებული, განსახილველად შემოსული და/ან განხორციელებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის, მოკლე ციკლის პროგრამის, პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამის, ტრეინინგ კურსის, მოდულის და სხვა აქტივობის განხორციელების მიზანშეწონილობის და/ან მისი ხელმძღვანელის განსაზღვრის/ჩანაცვლების განხილვა;

7.3. უნივერსიტეტის წიაღში პროფესიული და არაფორმალური განათლების განვითარების მნიშვნელოვანი, საკვანძო საკითხების განხილვა;

7.4. უნივერსიტეტში პროფესიული განათლებისა და ცენტრის ფუნქციონირების სრულყოფისა და განვითარების მნიშვნელოვანი, საკვანძო საკითხების განხილვა;

7.5. საბჭო უფლებამოსილია:

ა) მოისმინოს ცენტრის საქმიანობის ანგარიში;

ბ) განიხილოს და/ან მოისმინოს ცენტრის სხვა აქტუალური საკითხები.